№ 18 იანვარი 25, შაბათი — 1892 — იანვარი 25, შაბათი № 18

# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 29 იანვარს,
ბ ე ნ ე ფ ი ს ი
ვ. ლ. გ უ ნ ი ა ს ი

ვლ. ალექსიევ-მესხიევისა და კ. ყიფიანის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა

## დ ა - ძ მ ა

ორგინალური დრამა 5 მოქ. მეგრელთ წარსულ ცხოვრებიდან ვ. გუნიასი
მოქმედება სწარმოებს სამეგრელოში მე XVII საუკუნის დამლევს
მეხუთე მოქმედების პირველს სურათში ბ-ნ რატილის ქართული ხორო შეასრულებს შემდეგ სიმღერებს: „სიმღერა სასიკვდილოდ განწირულთა“, „სიმღერა მხედართა“, „სიმღერა გმირთა“ და ბოლოს იგალობებს „ლოცვას“
„ამ პიესისათვის შეკერილია ახალი მდიდრული ისტორიული ტანისამოსი“

II

დასასრულ პირველადვე ახალი პიესა

## ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან!

ვოდევ.-ხუმრობა 1 მოქმედ. ვალ. გუნიასი
მოქმედება სწარმოებს ტფილისში, სოლოლაკის ქუჩაზე
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი საფაროვისა, ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა ტარიელოვისა, აგიაშვილისა; ბ-ნნი: ალექსიევ-მესხიევი, ყიფიანი, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, კიკნაძე, ადამიძე, იანქოშვილი, გუნია და სხვა.
შეგირდებისათვის კუპონები ლოჟაში 50 კ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი სწორედ $7^1/_2$ საათზედ.

26 ამ იანვარს, საღამო ლოცვის შემდეგ, მეხუთე საათზედ იქმნება ქადაგება ქართულს ენაზედ ტფილისის საკრებულო და საკათედრო სიონის ტაძარში. იქადაგებს ინსპექტორი ქრისტიანობის აღმადგინებელის საზოგადოების, და მისსიონერი მღვდელ-მონაზონი მამა ლეონიდი. საგნად ქადაგებისა აღირჩია მამა ლეონიდმა სჯული უფლისა საზოგადოდ და კერძოდ ათს მცნებაზედ. ქადაგების სმენად მოიწვევიან ამით ყოველნი მართლმადიდებელნი ქართველნი“.

რადგან 19 იანვარს დანიშნული წლიური საზოგადო კრება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა“ არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ თანახმად საზოგადოების წესდების § 15-ისა, ხელახლად დანიშნულია იანვრის 26, დილის 11საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1-ლ სექტემბრიდგან 1890 წლისა 1-ლ სექტემბრამდე 1891 წლისა, ბ) მოხსენება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ $18^{91}/_{92}$ წლისათვის, გ) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა და დ) გამგეობის ახალის წევრების არჩევა.

ტფილისის სობრანიაში
კვირას, 26 იანვარს, დანიშნულია

## კონცერტი

6 იანვარს მომხდარის უბედურებით დაზარალებულ, იჯახობათა სასარგებლოდ. კონცერტს შემდეგ

## ცეკვა

ბილეთების ყიდვა შეიძლება გ. მ. მირიმანიანის სამუსიკო დეპოში, სასახლის ქუჩა ტფ. სათ-აზნ. ბან. თეატრის ქარვასლაში, ხოლო კონცერტის დღეს სობრანიის შვეიცართან. (5—4)

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 10 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—12)

## ახალი ამბავი

** ხვალ, ამ თთვის 26-ს, საღამოს ლოცვის შემდეგ, სიონის ტაძარში არქიმანდრიტი მამა ლეონიდი იქადაგებს ქართულად. ამის შესახებ დღეს ჩვენს გაზეთში ცალკე განცხადებაა დაბეჭდილი.

** იმ დღეს ჩვენ გვქონდა ცნობა მასზედ, რომ უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა ინჟენერმა კოსსუმ და ქალაქის გამგეობამ პირობის წერილი შეჰკრეს შესახებ ქუჩების წმენდისა. ამავე ინჟენერს კოსსუს მინდობილი აქვს შეადგინოს პროექტი ახალის გზების გაყვანისა ნავთლუღსა და დიდუბეს შუა. ბ-ნ კოსსუს აზრით, შეუძლებელია ნავთლუღამდის გაყვანა ლიანდაგისა, რადგან ავლაბრის აღმართზე სათანადო ასავალი არ არის. შეიძლებაო—ამბობს თურმე ბ-ნი კოსსუ—ასაწევ-დასაწევი მაშინა დაიდგას რიყესთან, დატვირთული ვაგონები შევაყენოთ სადგომზე და ჯაჭვებით იქმნან იგინი ატანილი ავლაბრის კლდეზე, რომელიც ბორანს დაჰყურებსო, და აგრეთვე იქმნან ჩამოშვებულნი რიყის ლიანდაგზეო, მაგრამ ამისთანა მაშინას დიდის თადარიგის დაჭერა უნდაო. ეხლა-კი შესაძლოა გააკეთოს საზოგადოებამ მხოლოდ ვოგზალსა და დოლის მოედანს შუა ლიანდაგიო.

** კომისიამ, რომელიც ეჩმიაძინიდამ ჩამოვიდა ტფილისში იმის გამოსაძიებლად, თუ რა მონაწილეობა და ბრალი აქვს სომეხთა კონსისტორიას ნათლის ღების უბედურობაში, გუშინ დაიბარა ის ხუროები და დურგლები, რომელნიც იორდანის ხიდს აშენებდნენ.

** რკინის გზის სადგურ „აჯამეთის“ ახლოს რკინის გზის ხიდ-ქვეშ გუშინ-წინ იპოვნეს ვიღაც კაცის გვამი, მდინარისაგან გამორიყული.

** გუშინ, 24 იანვარს, დილის 10 საათზედ, როგორც გამოცხადებული იყო, დაიწყეს ყიდვა სახელმწიფო ბანკში პირველ ლოტარეის 1500 ბილეთისა და სულ ერთს საათში დაიტაცეს. დილის 11 საათზე ერთი ბილეთი აღარ დარჩა. მსურველნი ბილეთების სყიდვისა კიდევ ბევრნი იყვნენ, მაგრამ ხელ-ცარიელე ბი დარჩნენ.

** დღემდე რუსეთის ქვეშევრდომ მაჰმადიანთ არ აძლევდნენ საზღვარ გარედ წასვლის პასპორტებს, რადგანაც სპარსეთსა და აზიის ოსმალეთში ხოლერა იყო. ეხლა-კი ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა ცირკულიარი მიიღო იმის შესახებ, რომ, რადგანაც ხორასანსა და მაჰმადიანი სხვა სალოცავს ალაგებში აღარა მძვინვარებს ხოლერა, შეიძლება მაჰმადიანთ სპარსეთში წასასვლელი პასპორტები მისცეთო. ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა ეს განკარგულება მთავრობისა უკვე აცნობა ტფილისის პოლიცმეისტერსა და მაზრის უფროსებს.

** დამშეულთა სასარგებლოდ პირველ ლოტარიის ტირაჟი 1 თებერვალს მოხდება.

** ჩვენ მოგვივიდა ახალციხის სკოლის მასწავლებელის გიორგი ჯაფარიძისაგან შეგროვილი თორმეტი მანეთი (12 მან.) ალ. ყაზბეგის სასარგებლოდ.

აი შემომწირველთა სიაც: გრ. ბურჭულაძე-2 მ., გ. ჯაფარიძე-2 მ., ალ. მიქელაძე-1 მ., მ. დ. ხახუტა-

## ფელეტონი

### ჩატეხილი ხიდი

I

დილაა ნათლის ღებისა,
ხალხით ივსება ტაძარი;
დიდი, პატარა, მოხუცი,—
ყველა თავ-მოყრით იქ არი;
და მოწიწებით შესთხოვენ
მაცხოვარს ამ დღეს შველასა,
ხარობენ გულით მოსავნი
და ღიმი უქრის ყველასა.
მოხუცნი მუხლის თავებით
ხელ-გაშლით ევედრებიან,
შვილთათვის შვილიშვილთათვის,
სთხოვენ და ეხვეწებიან.
ახალგაზდანი სიამით
სანთელს უნთებენ ხატებსა,
და ღიმით გადასცქერიან
მათსავით ყმაწვილს ქალებსა.
მღვდელი ლოცულობს, საცეცხლურს
დააწყებინებს ჟღერასა
და აღარა აქვს საზღვარი
კვლავ ხალხის პირ-ჯვრის წერასა.
მთელი საყდარი საამოდ
სანთლის სხივებით პრიალებს,
და საკმლის სუნი ჰაერში
ცეცხლის კვამლსავით ტრიალებს.

II

წირვა გათავდა. საყდარი
იცლება წყნარა-წყნარადა,
ხალხი გამოსდევს მოძღვარსა
მორთული მრავალ გვარადა.
მოზარე ზარებს უხშირებს,
შორს ისმის ხმა და გრიალი,
ზარის ხმას ერის ებანს სცემს
ჟღლეთა, სიმრავლე, ტრიალი.
მღვდელი წინ მიდის, ხელით ჯვარს
მიეზიდება წყნარადა,
მას მისდევს ხალხი მრავალი
მობმული მხარდა და მხარადა.
წყალ-გაღმით იორდანე სჩანს,
ყველა იქ მიეჩქარება:
მღვდელი მღვდელს მისდევს,
ქალი კაცს წინ წასვლას ემუდარება.
—გავიდა ყველა, ხიდს გასცდა
მრთლად, უხიფათო, უვნები;
იორდანესთან შეჩერდა
ხალხის ურიცხვი გუნდები.
ყველა გულ-ძგერით მოელის
ჯვრის წყალში ჩასვენებასა;
ყველა იჩქარის ნათლის წყლით
განწმენდა-განბანებასა.
აგერა მღვდელმა ჩვეულებრ
ჯვარი ჩაუშვა წყალშია,
იორდანისკენ იწევენ,
ჩოჩქოლი ასტყდა ხალხშია.

III

მორჩა, გათავდა ყოველი,
რაც რომ რიგი და წესია,
რაც სჯულმდებლობას ხალხთ შორის
ერთხელვე დაუთესია.
ხალხი დაბრუნდა, მღვდელი წინ
საყდარში მიეჩქარება.
ქარი ჰქრის, შავით მოცულა
განრისხებული ბუნება.
ქუჩებში გამვლელს თვალსა სთხრის
ქარის მუდმივი ტრიალი;
კაცს სულს უხუთავს იმისი
რაღაც მწუხარე ღრიალი.
თითქოს ბუნება წინასწარ
ქვეყანას ემუქრებოდა,
მისს აღშფოთებულს სიავეს
მტკვარიც ბანს ეუბნებოდა.
ოხ! გული ჰკვნესის, ცრემლები
მომდის არ შრება თვალზედა,
ის სავალალო სურათი
მარად გულს მიწყლავს ძალზედა.
სამღვდელოება ხიდს გასცდა,
გავიდა გახარებული;
ხალხი ჯერ ისევ უკან სდგას
შეყენებ-შეჩერებული.
თანდათან რიცხვი იმათი
მატულობს ერთი-ორადა,
შორიდგან იგი სურათი
აჩნდება მთა და გორადა.

IV

უცბად გაისმა საზარო...
ხიდის გატეხის ჭრიალი...
მშვიდობით... აჰა, ვაება
და მწუხარების ფიალი!
ხალხის მწუხარე ყიჟინა,
და კვნესა ჩაცვინულების
გულს უკლავს შორით მნახველებს
მათი ტირილი ვაების;
მამა შვილს ეძებს, ცოლი—ქმარს,
ძმა ძმას ფეხთ მოსჭიდებია...
ყველა სიცოცხლეს ნატრულობს
დარჩენა გასჭირებია.
ერთი მეორეს ატყდება,
ერთმანეთს ეკონებიან
და საუკუნოდ ქვეყანას
ამითი ეთხოვებიან...
ის ვიღა არის, აგერ ბურჯს
რომ ხელით ეტოტინება?
სცდილობს ამოსვლას საბრალო...
გული იმედით ევსება.
მაგრამ მას თავზედ ზევიდგან
მოძმენი დაეცემიან...
და ბურჯზედ ხელი უსხლტება,
ყველანი იძირებიან...
აქაც და იქაც, ყოველგან
გაისმის წივილ-კივილი...
სამგლოვიარო ზარია,
ხალხის მოთქმა და ტირილი!

V

გათავდა ბრძოლა მწუხარედ,
დამარცხდა უმეტესობა.
იუდავ, შენი ხსენება
გულს ისარივით ესობა!
გლოვად შესცვალე საბრალო
ხალხის მოლხენა მზიანი!!
ბევრს დაუხუჭე თვალები
ნორჩი და სიცოცხლიანი!
უდროოდ გამოასალმე
ბევრი ოჯახის ფიალსა,
მზეს მოაშორე და ქვეყნის
წალმა-უკუღმა ტრიალსა!..
სისხლის ცრემლითა სტირიან
დამრჩალთ ყმაწვილი ცოლები,
და მოთქმით ჰკრულვენ, სწყევლიან
დაობლებული შვილები

შვილი-1 მ., მ. ე. მირიანაშვილი-1 მ., სვ. აგიაძე-1 მ., ვას. ბეზირგანაშვილი-2 მ., ნ. ასათიანი-1 მ. და ი. ჩიკოიძე-1 მ., სულ 12 მან. ამას გარდა, ყაზბეგისავე სასარგებლოდ მივიღეთ ბ-ნ ალ. ლოლუასაგან საბზევარიდგან 5 მან. ამ ფონდისა აქამდე გვქონდა 364 მან. 20 კაპ. ამით შესდგა 381 მან. 20 კ.

*** ხვალ, ამ თთვის 26, სომეხთა იმ ეკკლესიებში, რომელიც იმყოფება მტკვრის მარჯვნივ მხარეს, ამორჩეული იქნება სამ-სამი დელეგატი. დანარჩენს სომეხთა ეკკლესიებში ამოირჩევენ დელეგატებს მეორე კვირას, თებერვლის 2. შემდეგ ეს დელეგატები თავიაანთ შორის ამოირჩევენ ერთს დელეგატს, რომელიც მაისის სამს უნდა დაესწროს სრულიად სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსის ამორჩევას ეჩმიაძინში.

*** ბორჩალოს მაზრიდგან იწერებიან, ამ დღეებში იქ რამდენსამე კაცს საბძლები და თივა დაუწვეს. მაგალითად თრიალეთის საბოქაულოში თივა დაუწვეს სოფ· მიჯის მცხოვრებლებს მიხა, ილო, იობა და საბა ადუაშვილებს. ზარალი 500 მანათამდეა. სოფ. ეგრისში კნ. მალიკოვის მამულში დასწვეს 400 მანათის თივა. ეკატერინ-ფელდის საბოქაულოში, სოფ. ქვებოში, საბაშვილს დაუწვეს საბძელი და 300 მანათამდე აზარალეს, იქვე ვასილ ბესალაშვილს დაუწვეს საბძელი და თივა. დაზარალებულთ გუმანი მეზობელს თათრებზე აქვთ, მაგრამ რას გახდებიან, რომ დასამტკიცებელი საბუთი არა აქვთ-რა. ასეთი საზიზღარი მტრობა ყოველს წელიწადს ხდება ბორჩალოს მაზრაში და ბევრს იქაურს მცხოვრებლებს დიდად აზარალებენ ხოლმე.

*** სოხუმელები სთხოვენ ფოსტის მმართველობას ყურადღება მიაქციეთ იმ გარემოებას, რომ ზამთრობით სოხუმში კვირაში მარტო ერთხელ მოგვდის ფოსტა და ისიც რიგიანად არაო, წერილები კიდევ მოგვდის და გაზეთები-კი ღმერთმა უწყის, სად იკარგებაო. მიზეზი ის არის, რომ ფოსტას თავისს დროზე არ აბარებენ ბათუმიდგანა ᲓᲐ ნოვოროსიისკიდგან სოხუმში მიმომავალს გემებს.

სოხუმელები დიდის ყურადღებით შესცქერიან მდ. კოდორზედ ხიდის კეთებას. ეს ხიდი შარშან ზაფხულს უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ წყალდიდობამ რამდენჯერმე წაილო ხიდის ბურჯები და მასალაც. ინჟენერებმა მაინც თავისი არ დაიშალეს და მომავალს ზაფხულში ეს ხიდი მზად იქნება, მაგრამ ვისთვის ან რისთვის შენდება ეს ხიდი, არავინ უწყის, რადგანაც არც ხიდს აქეთ არის ხეირიანი გზა და არც იქით.

*** ოზურგეთი: თხუთმეტს ამ თთვისას მომხდარმა უბედურებამ ოთხი ადამიანის სიცოცხლე არ იკმარა მსხვერპლად: იმ დღეს დაჭრილი ერთი ჯარის-კაცთაგანი უკვე გარდაიცვალა.

*** გურჯაანი (სიღნაღის მაზრა): დაილოცა შარშანდელი წელიწადი: დიდად უხვი მოსავალი მოგვივიდა თუ ღვინისა და თუ პურისა. ამ მხრით ქართლის სოფლებს არ ჩამორჩენია ჩვენი სოფელი. ბედს ვემდურებით მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენში ბევრი უწესოება, ბევრი ურიგობა და უკადრისობა იჩენს ხოლმე თავს ზოგიერთა უზნეო და უსაქციელო ადამიანთა წყალობით. მუდამ დღე ღმერთს იმას ვეხვეწებით, რომ ასეთი უსაქციელონი როგორმე გონს მოვიდნენ, მაგრამ, ვინ იცის, როდის მოვესწრებით ამას.

ჩვენი სკოლა თითქმის ყველა სკოლებზე ადრეა დაარსებული, მაგრამ ხანგრძლივის არსებობით ვერც დიდი სახელი მოიხვეჭა ᲓᲐ ვერც სამაგალითო შეიქმნა სხვა სკოლებისათვის, რომელიც შემდეგ დაარსდა. ამ ჟამად სკოლაში ისე ცივა, რომ ყმაწვილებს სულ კბილი-კბილს აცემინებს. ამისთანა სკოლაში რა ნაირად უნდა სწარმოებდეს კარგი და დაუბრკოლებელი სწავლება. მასწავლებელი თბილს დღეებს ელის, რომ იქნება მაშინ მაინც შევიძლოთ და ვასწავლოთ რამე შეგირდებსაო. სოფელს იმდენი მოხერხება არა აქვს, რომ სკოლას შეშა მისცეს და ფანჯრების ჩალეწილი შუშები ჩასხას. ამას კიდევ ვინა ჩივის. ლაპარაკი იყო სკოლის ეზო გაეფართოებინათ პატარა ბაღის გასაშენებლად შეგირდებისათვის. სოფელმა გააფართოვა-კი არა, უფრო შეავიწროვა, რადგან სკოლის მეიდანზე სასოფლო კანცელარიის აგება განიზრახეს და მასალა ეხლავ დაჰყარეს მეიდანზე, ისე რომ სული შეუხუთეს სკოლას.

*** პეტერბურგი: ამ დღეებში აქ იქმნა გამართული საღამო კავკასიის მთიელთა შორის განათლების გავრცელების საზოგადოებისაგან შეუძლებელ-მოსწავლეთა შემწეობისათვის. საღამომ მხიარულად ჩაიარა. სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს ბ-ნმა პოტაპენკომა და მიხაილოვსკიმ, რომელმაც წაიკითხა თვისი მოგონებანი ნეკრასოვის შესახებ. ანტრაქტებში გამართულ იქმნა რამდენიმე ცხოველი სურათი კავკასიის ცხოვრებისა ხელოვან მხატვარ კარაზინის მიერ. დასასრულ იყო ლეკური.

*** ფოთი: ჩვენში აგერ 1882 წლიდამ არსებობს საქალაქო თვით-მმართველობა. მანამდე-კი პოლიცია განაგებდა ქალაქის საქმეებს. პოლიციამ ის სიკეთე შეგვძლვნა მხოლოდ, რომ გაგვიკეთა ხიდი რკინისა, რომელიც დაჯდა 104,000 მან. ამას გარდა ააგო ქვითკირის შენობა, რომელშიაც ამ ჟამად მოთავსებულია პოლიცმეისტრის კანცელარია და საქალაქო გამგეობა. თვით-მმართველობის შემოღებისათანავე ბევრი ისეთი უბედურობა ეწვია ფოთ., რომ მას უკან ვერ იქნა და ველარ გაიმართა წელში. ამ ცხრა წლის განმავლობაში კარგა დიდი ვალი დაედო ქალაქს. საქმე ისეთს ვითარებაშია, რომ შემდეგშიაც კარგა ხანს ვერ აიცილებს ქალაქი თავიდამ ვალს.

სიმინდის გატანის აღკრძალვამ საზღვარ გარედ დიდი ზარალი მისცა საზოგადოდ ჩვენს ქვეყანას და განსაკუთრებით ფოთს. აღებ-მიცემამ ფოთში შესამჩნევად იკლო. ხალხი გაიკრიფა ქალაქიდამ, სავაჭრო დუქნები და მაღაზიები თან-და-თან იკეტება. სოფლები ფოთზე საკმაოდ მოშორებულია და ამის გამო საგრძნობელი სიძვირეა ფოთში თითქმის ყველაფრისა.

*** ამ დღეებში, გუბერნატორის განკარგულებით, ქალაქის სატეხნიკო კომისიამ დაათვალიერა ცირკის შენობა და აღმოჩნდა, რომ ცირკს განახლება სჭირდება და ამის გამო ერთის თთვის შემდეგ უნდა დაიკეტოსო. („Н. О.“)

*** ზემოხსენებულსავე გაზეთს სწერენ ქუთაისიდამ: 20 იანვარს ქუთაისში კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრებაზედ თ. დ. ა. თუმანოვმა წაიკითხა მოხსენება შესახებ ელევატორის გამართვისა ფოთში. ბ-ნი თუმანიშვილი ამტკიცებდა, რომ ელევატორის გამართვით სიმინდის მრეწველობის საქმე უფრო კარგად მოეწყობა ქუთაისის გუბერნიაშიო. მოხსენებამ ხანგრძლივი კამათობა გამოიწვია, თუმცა კრება საზოგადოდ ერთის აზრისა იყო, რომ ელევატორების გამართვა ჩვენში დიად საჭირო არის და კერძო კაცის ამ საქმეში გარევა და მეცადინეობა სასარგებლო იქნებაო. ამავე კრებაზედ ლაპარაკი იყო შესახებ იმისა, თუ რა გზით მოიპოვოს ფული საზოგადოებამ, რომ ამ ფულით შეეძლოს უკეთესი სამსახური გაუწიოს ქუთაისის გუბერნიის მეურნეობასა და მრეწველობას. ამ საქმის შესახებ ქუთაისის სამეურნეო საზოგადოებამ სთხოვა ტფილისის სამეურნეო საზოგადოებას, რომლის განყოფილებასაც თვით შეადგენს, რომ იმ ფულიდგან, რომელიც ხაზინიდგან გეძლევათ შემწეობად (6,000 მან. წელიწადში) ცოტაოდენი ჩვენც გვინაწილეთო, მაგრამ ტფილისის საზოგადოებამ ჯერჯერობით ამ თხოვნის პასუხად არა მიუწერია-რა. ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარემ გუბერნატორმა შალიკოვმა ამ საგნისათვის განსაკუთრებული კრება დანიშნა.

*** 22 იანვარს, დილის 7 საათზე, ნიკოლოზის ქუჩაზე, ციციშვილის სახლთან იპოვნეს ერთის კვირის დაბადებული მიგდებული ბავში და საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ივრის ხეობა.** ტფილისის მაზრის უფროსი თ. ჯანდიერი 16 დეკემბერს მობრძანდა სოფელს საგარეჯოში და ხალხს მოელაპარაკა სოფლებში საზოგადო ზვრების გაშენების თაობაზე, რაიცა მინდობილილი ჰქონდა ბ-ნ ტფილისის გუბერნატორისაგან. თავ. ჯანდიერმა ჯერ ადგილობრივი სკოლა ინახულა, შემდეგ გამოვიდა სკოლის აივანზედ, რომლის წინაც მრავალი ხალხი იყო შეგროვილი და შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა. ყველაფერში სიცოცხლე და მოძრაობა დაგტყობიათ. ნივთიერის მხრითაც რომ ავიღოთ თქვენი სოფელი, სასიხარულოა, რომ თქვენს საზოგადო ბეღელში, როგორც დავრწმუნდი, 7,000 ფუთზე მეტი პური გაქვთ, რომელიც შეგიძლიათ გაჰყიდოთ და ფული ბანკში შეიტანოთ. ფულს სარგებელი ექნება და ეს რომ ყოველ წლივ ასე ერთგულად და მუყაითად შეასრულოთ და არა სჭამოთ და ჰფლანგოთ, როგორც აქამდე სჩადიოდით, რამდენისამე წლის შემდეგ გექნებათ საკმაო თანხა, რომელიც იქნება და არის კიდეც თქვენი საკუთრება. იმ ფულით შეგიძლიანთ იყიდოთ საზოგადო მამული: ტყე, მთა, მინდორი; გააშენოთ სასოფლო სახლები, გააკეთოთ ხიდები—ერთის სიტყვით, ეს ფული მოიხმაროთ ათას გვარს თქვენსავე საზოგადო საჭიროებისათვის. რაც პურის მაღაზიები დაიწყო, რომ ყოველ წლივ ერთგულად გეგროვებინათ და გეყიდნათ კომლზე დაწესებული ხორბალი და ფული ბანკში გეძლიათ,

უდროოდ გამომსალმებელს
თავიანთ საყვარელ მამისა,
და დედაც მათის ცრემლებით
სწყევლის დამღუპველს ქმარისა.
წყევლით და კრულვით ივსება
ცრემლების გამომწვეველი,
ყველა კითხულობს დამღუპველს,
მაგრამ ვინ არის მზღვეველი?

VI

ამიერიდგან სამუდმოდ
ბევრმა დაჰკეტა კარები;
მთელი ოჯახი დაირჩო
და იმათ სახლის კედლები
დღესაც მწუხარედ დაკლიტულ
კარ-ფანჯრებს გადმოსცქერიან,
და მოუთმენლად პატრონებს
ჯერ კიდევ ელოდდებიან.
მაგრამ ტყუილად, იმათი
ქარმან აღგავა ყოველი,
ველარ იხილავს მათ კარი
და ველარც სახლის კედელი.
ბევრ მშობელთ სამი, თუ ორი
მუშა ვაჟკაცი შვილები,
ერთად მიჰგვარეს თვისს სახლში
საზარლად დარჩობილები...
და მხიარული ლოდინი
იცვალა მწარე ცრემლითა.
მამის სიცოცხლე ვაჟ-კაცნი
დანთქმულნი კაცის ხელითა
წყვილად აწყვიან ოთახში,
მშობლები ეკონებიან;
სტირიან, ძაძა მოუსხავთ
და ცრემლით იბანებიან.

VII

მეორე ალაგს ქალარა
გაყინულ-გაცივებულსა
ზედ დაჰკდომია მოხუცი
შვილის უსულო სხეულსა
და ცრემლით უთვლის მუქარას
მის დამაქცევარს წყეულსა.
რა გულს იჯერებს ბედ-შავი
საყვარელს შვილზედ ტირილით;
ადგება, მაგრამ უღონო
იქვე იქცევა ყვირილით
და ისიც შვილთან სულსა ლევს
ტანჯვით და გულის ტკივილით.
—საბრალო მამას თვის დღენი
ერთი გააჩნდა შვილადა,
ის იყო მისი ნუგეში
ცათა და ქვეყნის პირადა;
მზეცა და მთვარეც სიამით
იმაზედ ამოსდიოდა,
იმისს ლოდინში საცოდავს
მთლად სული ამოსდიოდა;
არ აშორებდა კარებს თვალს,
წამით წამს ელოდდებოდა
და მამობრიულს მისს კოცნას
მაღალს ღმერთს ევედრებოდა.
მაგრამ ეს ტკბილი ოცნება
შესცვალა მწუხარებამა
და მის სიბერე შავ-ბნელად
შეიპყრო მდუმარებამა.

VIII

მესამე ალაგს დედა შვილს
მწარედ დაეძებს საწყალი,
ვერ უპოვნია ველარსად
ვერც მკვდარი, ველარც ცოცხალი
და შეშლილსავით ყოველს წამს
მოსთქვამს უით და ვაითა,
მისი სიცოცხლე გავსილა:
ნაღველითა და შხამითა.
მეოთხე ალაგს ერთი თვისს
ჯვარ-დაწერილსა ჰაბუკსა,
გამალებული ეძიებს
ან მკვდარსა ანუ ცოცხალსა.
მაგრამ სად არის? არა სჩანს
ასავალ-დასავალითა!
გლოვობენ მისი მოძმენი,
—ცოლი ჩაცმული შავითა...

IX

ბევრს არ ეღირსა საფლავი
და გაყინული სამარე,
უკანასკნელი-ღა კაცის
სამარადისო სავანე.
მათ დაუნდობმა კაცმა და
გაცოფებულმა მდინარემ
შორს გაუთხარა სამარე,
შორს დაიტირა სხვა არემ.
მათი ტანჯული სხეული
გახდა საყვაო ყორანედ.
ვინ იცის, რომელს კიდეზე
დამრჩვალნი მტკვარმა მწყრომარედ
გარიყა გაიტანაო,
იქ ნადირების, ყვავების
სალხენად მიიტანაო.
—იმათს სხეულზედ მშობლების
ცრემლნი არ დაეცემიან.
მათ მეგობარი ვერ ნახავს,
იქ ისე გაიხრწნებიან.
სივრცე მოასხამს სუდარას,
მინდვრები დაიტირებენ,
მთები მაღალნი ამაყად
ერთმანერთს დაუყვირებენ,
რომ მათ კალთებთან დამრჩვალი
ღვთისგან წყეულის ხელითა
გდია ვიღაცა უცნობი
მრთლად დამტვრეულის წელითა;
და იმათაგან მის გვამი
თხოულობს შურის გებასა,
მისთვის, ვინც იგი საშინლად
მისცა დღეს მოკვდინებასა.

IX

ამბობენ, ღამით, როს მთვარე
მახე-ხიდს მიადგებაო,
როს დამტვრეული მის სახე
შორიდგან გამოჩნდებაო;
როს სავსე მთვარე მდუმარედ
მტკვარზე დაიწყებს პრიალსო,
როს სხივი ეალერსება
იმ ხიდის ბურჯებს ტიალსო;
როს მტკვრის ზვირთები ამაყად
ბურჯებზედ ექანებაო
და მის შხმუილი მჭმუნვარე
შორით შორს გაისმებაო—...
ამ დროს ჩამოდის აქ ვიღაც
მტკვრის ნაპირებზედ ქალიო,
შავებში არის ჩაცმული
და თავზედ ჰხურავს შალიო...
მდუღარე ცრემლითა სტირის
ხელ-აპყრობილი ცადაო,
და გულ-საკლავად შეჰგოდებს
შემოქმედს მრავალ ფრადაო.
მღმერთთან მოღლილი ვედრებით
შემდეგ მტკვარს უბრუნდებაო
და საიდუმლოდ მისს ზვირთებს
რაღასაც ეუბნებაო...
ვგონებ, რომ იგი დაეძებს
დაკარგულს ქმარს და შვილსაო;
ჰკუაზედ არის შემცდარი,
გადაჩვეულა ძილსაო
და იქ ტირილით ატარებს
დედა მწუხარე დროსაო.

9 იანვარი. ვ. მ—ძე.

## სიმონა

(მოთხრობა გლეხ-კაცობის ცხოვრებისა)

X

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 17)

სიმინდის ყანები თითქმის უმეტესი ნაწილი დათესილი იყო სოფელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქამდის თქვენ ერთს მილიონამდის ფული გექნებოდათ, რომლის მარტო სარგებელიც-კი მოგაშორებდათ ყოველს გვარს სასოფლო ხარჯს და კიდევაც დაგრჩებოდათ სხვა საკეთილო საქმეებისათვის. საზოგადოებისთვის, თემისთვის მარტო ის არა კმარა, რომ პეტრე და ივანე სცხოვრობდნენ რიგიანად, დანარჩენები-კი ვალში ირჩობოდნენ—ღარიბად იყვნენ. მოვალეობაა ჯერ მთავრობისა და მერე სოფლის საზოგადოებისა—იზრუნონ ყოველ თავის მკვიდრისათვის. სოფლის მკვიდრთა საკეთილდღეოდ, საჭიროა მოვიგონოთ და დავადგეთ იმისთანა რამეს, რაც საზოგადო თანხას გაგვიჩენს და კულტურულადაც რამეს გვასწავლის, რომ ამ თანხით, როგორც ზემოდაც მოვიხსენიე, საშვალება გვქონდეს დავაწესოთ იმისთანა რამე, რაც ჩვენთა და ჩვენ შვილთა საკეთილდღეოდ გამოდგება, რათა სხვა, ჩვენს მეზობელს ერს არ ჩამოვრჩეთ. მარტო პურის მაღაზია არა კმარა ამ საქმისთვის. მაშ რა ვქნათ? აი რა. ჩვენი სამშობლო საზოგადოდ და კერძოდ კახეთი იმ თავით ამ თავამდე—სამშობლოა ვაზისა. ვაზი კარგად გვარობს, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენ ვაზის რიგიანი მოვლა-ფარეზობისა არა გვეყურება-რა; ღვინის რიგიანი დაყენება და შემდეგ მოვლა არ ვიცით. ამიტომ ჩვენი ნაჭირნახულევი ღვინო, თუმცა ბევრიც მოგვივიდეს, მუქთ ფასად გადის, რადგან თავისს ბუნებრივს ღირსებას ჩვენის უცოდინარობით ვუკარგავთ. ნაცვლად იმისა, რომ ისეთმა უზარმაზარმა სახელმწიფომ, როგორც რუსეთია, რომელსაც ათი და ასი ჩვენი მოსავლისთანა მოსავალი არ ეყოფა, ნაცვლად იმისა-მეთქი, რომ რუსეთმა ჩვენგან დაიბაროს ღვინოები, იგი საზღვარ გარეთიდამ იბარებს. თქვენ არა გეყურებათ-რა, არც ვაზის ავადმყოფობისა, არც ღვინის გადაღებ-გადმოღებისა. რა უნდა ვქნათ, რომ ჩვენც, როგორც სხვა ნასწავლმა ხალხმა, ამ საქმისა ყველაფერი შევიგნოთ, იმათ გავეჯიბრნეთ დ̃ ბაზარი გავუჩინოთ ჩვენს ღვინოს? ამაზე ბ-ნს გუბერნატორს, სახელმწიფო მამულების გამგეს ბ-ნს ხატისოვს და თავ. ილ. ჭავჭავაძეს ხშირად გვქონია ლაპარაკი და შემდეგი დაგვისკვნია, რაიცა თქვენ არ ვიცი, როგორ მოგეწონებათ და რის შესახებაც თქვენი აზრი მინდა შევიტყო. თქვენ უნდა გაიღოთ ასე 20 დესეტინამდე საზოგადო მიწა, მოგვცეთ ხელ-შეკრულობა, თითოეულმა თქვენგანმა ამ მიწაზედ იმუშაოს არა ნაკლებ 5—10 დღისა გამოცდილ და ნასწავლ კაცთა ჩვენებით, მოგვცეთ თვითეულმა კომლმა დღიურზე 1/2 ფუთი ყურძენი, ვიდრე ვაზი გაშენდებოდეს თქვენ მიერ გაღებულს მიწაზედ, სანიმუშო, საცდელ ღვინოების მოსამზადებლად. თუ ამაებს შეასრულებთ, თქვენ 4 წლის შემდეგ გექნებათ 20 დესიატინა ახალ წესზედ გაშენებული ვენახი, რომელიც რა სარგებლობასაც მოგცემთ, თქვენ, როგორც მამულის შვილებს, კარგად გეცოდინებათ. გარდა ამისა, ყველა თქვენგანი, როცა იმუშავებს ამ ზვარში, ამ საქმეში გამოცდილ, ნასწავლ კაცთა ჩვენებით, შეითვისებს ყოველს ახალს წესს ვაზის მოვლისას, ღვინის დაყენებისას და თქვენს საკუთარს მამულებსაც ისე მოუვლით, ღვინოს რიგიანად დააყენებთ. რუსეთშიც, რაკი შეიტყობენ, რომ ჩვენში ღვინოს ახალის წესით ვაყენებთ, გამოიწერენ აქაურს ღვინოებს, ღვინოს გასავალი ექნება და ჩარჩ-სირაჯების ანაბარას აღარ ვიქნებით, როგორც დღეს. დასასრულ ამ ზვრიდგან ყოველ წლიური შემოსავალი თქვენი იქნება და მოიხმართ ისე, როგორც ზემოდ აგიხსენით. რას მეტყვით ამაზედ?

(დასასრული იქნება)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

მოლითის უბედურებისა გამო ბევრსა ლაპარაკობენ გაზეთები და უფრო ბევრი კიდევ სათქმელია, რომ ჩვენი რკინის გზა ჯეროვანად იყოს მოწყობილი და საშიშ არას წარმოადგენდეს არც მოხელეთა და არც მგზავრთათვის. იმის გამოსარკვევად, თუ რამოდენა შრომა დასჭირდება გზის გამგეობას, რომ თავისი ლიანდაგი წესზე დააყენოს, ჩინებული ცნობები მოყვანილი გაზეთს „Новое Обозрѣніе“-ში. ჩვენი გზა სიგრძით 981 ვერსია. შარშან-წინ ამ გზაზედ გაუვლია სულ 11.133,486 მგზავრს. მათში მოუკლავს გზას 36 კაცი, დაუსახიჩრებია 113, ხოლო დაუზიანებია 148. ამასთან შედარებით გაზეთს მოჰყავს ცნობები სხვა ქვეყნების გზათა შესახებ:

1888 წელს საფრანგეთში იყო გზები სულ 28,800 ვერსის სიგრძისა. ამ გზებზე გაიარა 225 მილიონმა მგზავრმა და მათში მოკლულ იქმნა 36 სული, ხოლო დაიჭრა 150 სული.

ესა ჰნიშნავს, რომ საფრანგეთში შვიდ მილიონ მგზავრზე მოდის ერთი მოკლული კაცი და შვიდი დაჭრილი. ჩვენში-კი ერთ მილიონ მგზავრზე მოდის თითქმის 32 მოკლული და 68 დაჭრილი, ე. ი. საფრანგეთის გზებიც რომ ჩვენს უბედურებაში იყვნენ, 225 მილიონ მგზავრში მოკლულ იქნებოდა 1888 წელს არა 36 კაცი, არამედ 8,100 კაცი, ხოლო დაიჭრებოდა იმავ წელს არა 150, არამედ 10,200 სული. უფრო საოცარი გამოდის შედარება დიდ-ბრიტანიის გზებთან: 1889 წელს დიდ-ბრიტანიას ჰქონდა გზები 31,338 ვერსის მანძილისა—ამბობს გაზეთი—და 1889 წელს დიდ-ბრიტანიის გზებზე გაიარა თითქმის ათას სამას მილიონმა მგზავრმა. 1887 წელს მოდიოდა 29 მილიონზე თითო მოკლულიო. ეს იმასა ჰნიშნავს, რომ თუ ინგლისის გზებზე საუბედუროდ ისეთივე უშიშარ-ყოფილი იქმნებოდა სიცოცხლე მგზავრისა, როგორც ჩვენს გზებზეა, მაშინ 143 კაცის მაგივრად უნდა მოჰკვდომოდათ თითქმის 35,000 სული. ამა შედარებათაგან გაზეთს გამოჰყავს შემდეგი დასკვნა:

საფრანგეთის გზის მიერ მოკლულს ერთს კაცზე მოდის ჩვენში 191 სული, ერთს იქაურს დაჭრილზე ჩვენებური 102 სული, დიდ-ბრიტანიის ერთს მოკლულზე—ჩვენში 921 კაცი, ერთს იქაურს დაჭრილზე 93 კაცი ჩვენში.

მაშასადამე, ჩვენი გზა ერთი ათასად მაინც უნდა გაუმჯობესდეს, რომ დიდ-ბრიტანიის გზებთან თანაბარი შეიქმნეს.

## რუსეთი

განსაკუთრებულმა კომიტეტმა, რომელის თავმჯდომარედ მემკვიდრე ცესარევიჩია და რომელიც დამშეულთა საშემწეოდ არის დაარსებული, ახალწლის წინა დღეებში განიხილა წინადადება გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისა შესახებ ამისა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ ვიყიდოთ 10,000 ცხენი ტურგაის ოლქში და როცა გაზაფხულზე მინდვრის მუშაობის დაწყების დრო იქნება, მაშინ დამშეულს გუბერნიებში მივრეკოთო. კომიტეტმა ეს აზრი ძლიერ მოიწონა და შეიწყნარა კიდეც.

მოხსენებაც გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისა და კომიტეტის მიერ მისი შეწყნარებაც საბუთია იმ სამწუხარო ამბისა, რომ დამშეულს გუბერნიებში მუშა საქონელი ძლიერ შეთხელდა: ზოგი გაიყიდა, რადგან საკვები აღარა ჰქონდათ პატრონებს, ზოგი დაიკლა იმავე მიზეზით და ზოგიც გაწყდა უსაჭმლობით. ეს გარემოება დიდად ძნელი გარემოებაა მიწის მუშა ხალხისათვის. უსაქონლოდ, გლეხისათვის თუ გინდა ხელი მოგიჭრია, სულ ერთია. აბა რითიღა უნდა იმუშავოს? მოუხნავს მიწაზე ხომ ვერ დასთესავს? თუ მიწის მხვნელ-მთესველს საქონელი დააკლდა, სწორედ რომ დიდი და საზარელი უბედურება დაატყდება თავსა. გაცხარებულის ხვნა-თესვის დროც დადგება საცაა და გლეხ-კაცი-კი გულ-ხელ დაკრეფილი უნდა შესცქეროდეს ცასა!

რამდენადაც საყურადღებოა ეს საგანი, იმდენადვე გამოურკვეველიცაა იგი ამ ჟამად რუსეთისთვის. ჯერ არავინ არ იცის, ან რამდენი საქონელი გაიყიდა რუსეთიდგან საზღვარ გარედ, ან რამდენი დაიხოცა და დაიკლა საჭმლის უქონლობისა თუ სხვა მიზეზის გამო და ან რამდენს საქონელს გააღწევინებს გაზაფხულამდე ის საკვებავი, რაც ამ ჟამად რუსეთში მოიპოვება. ყოველისავე ამის გაგება და დაწვრილებით შეტყობა ამ თავითვე ყოვლად საჭიროა, რომ ყველაფერი ცნობა ხელში ჰქონდეს მთავრობას და თავისი თადარიგი იმის მიხედვით დაიჭიროს.

შეიძლება ამ გვარი ცნობანი უკვე შეკრებილიცა აქვს ზოგიერთს ერობას რუსეთისას. ეს იმათი მოვალეობაცაა. საეჭვო-კია, რომ ყველა ერობასა ჰქონდეს ეს საქმე გაკეთებული და ისიც რიგიანად. ხოლო ყოველისავე ამის შემოწმება სულ რამდენისამე დღის მეტის გარჯას არ მოითხოვს ერობათაგან. ყველაზედ უკეთესი-კი ის იქნება, რომ უტყუარ სინამდვილის გასაგებად პირდაპირ კომლ-დაკომლ ასწერონ მუშა საქონელი. ამ საქმეს სულ 2—3 კირაზე მოიშორებენ თავიდგან ერობანი, თუ-კი სასურსათო სამზრუნველონიც დახმარებას აღმოუჩენენ.

როგორც ზემოდაც მოვიხსენიეთ განსაკუთრებულმა კომიტეტმა თითქმის ამ ერთის თვის წინადვე სცნა საჭიროდ 10,000 ცხენის ყიდვა. მართლაც, დრო ძლიერ ცოტა-ღაა დარჩენილი და საქმეს დიდი დაჩქარება უნდა.

ამასთანავე, რაკი უკვე საქონელიც იხოცება უსაჭმლობისა გამო, საჭიროა ზემოხსენებულს ცნობასთან ერთად იზრუნონ საქონლის გამოკვებაზედაც. პროფესორ ლანგეს ანგარიშით, თითო ცხენის გამოკვება გაზაფხულამდე დაჯდება 15 მანათი და გაზაფხულზედაც ლანგესავე სიტყვით, 15 მანათად ცხენის ყიდვაც შეიძლება. მაგრამ ეს ანგარიში შესაწყნარებელი არ არის. ეხლა რომ უსაჭმლობის გამო საქონელი გასწყდეს, გაზაფხულზე ძლიერ გაძვირდება და ისე იაფად ვეღარ იყიდის მსურველი, როგორც ბ-ნს ლანგესა ჰგონია. ამიტომ უმჯობესია სხვა-და-სხვა გაჭირვებითა და ყაირათობით საქონელს ეხლავე გაუფრთხილდნენ, არ დახოცონ უსაჭმლობით და გაზაფხულამდე გააძლებინონ.

წაბლისერში, რომ სიმონ ძლივ-ძლივობით წამოუდგა ავადმყოფობას, რომელიც დაიწყო იმ ღამიდამ, რა ღამესაც საპატიმროდამ შინ მოვიდა.—თურმე გზაზე გაციებულიყო. როცა ფეხი „დაიდგა“, დაიწყო მუშაობა თავისებურის მუყაითობით, მაგრამ ძნელი წამოსაყენებელი იყო ფეხზე ეს მესამეჯელ დაცემული ოჯახი! რადგანაც ქეთევანი ხშირად ავადმყოფობდა და სიმონს საჭმლის გამკეთებელი აღარავინ ჰყავდა, აღარ მოუცადა შემოდგომამდე დარიაზე ჯვარის დაწერას; ქორწილი არ უძებნია, ისე ერთბაშად სალამოს დასწერა მღვდელმა სიმონს და დაროს ჯვარი. ამას შემდეგ დარია მოუსვენრად მუშაობდა თავის ქმრის სახლში.

— ნუ შეგეშინდება, დარიკო, ჯერ კიდევ ყმაწვილები ვართ, მოვესწრებით, კარგად მოვაწყობთ ჩვენს ცხოვრებას! ანუგეშებდა სიმონა თავისს ცოლს.

ჯერ სამი თთვე არც-კი გასულიყო, რაც სიმონამ დარიაზე ჯვარი დაიწერა, მაგრამ ოჯახს მაინც-კი სიცოცხლე და ფერი დაეტყო ამ მამაც ყმაწვილის ქალის ხელში: დარიამ გაიჩინა ბოსტანი, შინაური ფრინველები, ღორები, ასე რომ ცოტა ხანს შემდეგ მისაჭამადი, ან როგორც სოფელში იტყვიან „პირის გემოი აღარ მოაკლდებოდა სიმონას ოჯახს. ქეთევანმა, მართალია, აქამდისინაც იცოდა დარიას გამრჯელობა, მაგრამ ის-კი აღარ ეგონა, თუ ყმაწვილი ქალი ამდენს გამოცდილებას და ოჯახობის უნარს გამოიჩენდა. ამიტომ გამოუთქმელს სიხარულში იყო.

— იმისთანა რძალი შემხდა, რომ ცივ ქვაზე დაასახლებს კაცსაო, იტყოდა ხოლმე ქეთევანი.

— ნამუშიერს რომ დავალაგებ, მერე სადმე საქირაოზე წავალ და გადასახადებს გაუსწორდებიო“-ო, ფიქრობდა იმედ-მოცემული და გამხნევებული სიმონა.

ერთს სალამოს სოფელს წაბლისერში ჩამოირბინმა „ნაცვალმა“ და გამოუცხადა ხალხს—ხვალ ღუბერნატარი მობრძანდება, არ დააკლდეთ ყრილობას, თვარა დიდი შტრაფიაო.

— რაზე მობძანდება ნეტაი?—კითხულობდა ხალხი.

— რა ვიცი, იი ფოშტას რომ დახთენ და გაზვარცეს, მგონია, იმაზე; პასუხობდა ნაცვალი.

მეორე დღეს სოფლის კანცელარიის დიდი ეზო გაიჭედა ხალხით. ჯერ გუბერნატორი არ მოსულიყო. ხალხი თავისებურად ჟიჟინებდა. ივლისის დღე იყო და ძლიერ ცხელოდა. კარგა ხანს უცხუნა ხალხს ცხვი-პირში მწველმა მზემ და ბოლოს მოისმა ცხენების დგრიალი.

მოვიდა გუბერნატორი თავისის ამალით. ხალხმა შესწყვიტა ჟიჟინი და ისე განაბული იდგა, გეგონებოდათ, გაქვავებულაო. გუბერნატორმა ჯერ მიიხმო მამასახლისი და ერთი ვაივაგლახი დააყენა—გზები არ ვარგა შენს საზოგადოებაშიო. შემდეგ გამოაცხადა, ავ-კაცობა გახშირდა, აგერ ფოსტა გაძარცვეს და დაკარგული თქვენ, სოფლის ხალხს, გაწვებათ კისერზედაო. ამიტომ საჭიროა მავნე და შენიშნული კაცები თავიდგან მოიშოროთ, „პრიგავორი“ შეუდგინოთ საზოგადოებამ და დასაჯოთო. საქმის სისრულეში მოსაყვანად თხუთმეტის დღის ვადა მისცა გუბერნატორმა,—თხუთმეტის დღის განმავლობაში უნდა წარედგინათ „პრიგავორი“ და შიგ მოხსენებული დასასჯელი მავნე კაცნი. ხალხს, რა თქმა უნდა, სიტყვა არ შეუბრუნებია გუბერნატორისთვის, ისე მიიღო გამოცხადება და შეუდგა საქმეს. იმ დღესვე ამოირჩიეს „დეპუტატები“ (სოფლის ვექილი) და მიანდვეს საქმე, რომ სოფლის მაგიერ მოენახათ საეჭვო და მავნე კაცები, შეედგინათ განაჩენი და მიესაჯათ სასჯელი. პირველ დეპუტატად დავით დროიძე ამოირჩიეს. დავითმა სიამოვნებით მიიღო ამორჩევა, თუმცაღა შეეძლო არ მიღებაც.

როცა „დეპუტატები“ საქმის გარჩევას შეუდგნენ და საეჭვო და მავნე კაცები ჩამოსთვალეს, დავითმა დაასახელა სხვათა შორის სიმონა ძალაძეც. რაც სიმონა საპატიმროდან დაბრუნდა, მას შემდეგ დავითს ტკბილად აღარ სძინებია.

— „იმისთანა თვალით მიყურებს, კარგს არ მიზამს, რამე უნდა მოვუხერხოვო, ფიქრობდა და, ეს იყო, ეხლა შემთხვევა მიეცა სიმონას თავიდან მოშორებისა. დავითისთვის წინააღმდეგობა აღარავის გაუწევია ამ შემთხვევაში; არ გაუწევიათ ერთი იმიტომ, რომ ეხატრებოდათ და წყეინებას ვერ უბედავდნენ და მეორეც იმიტომ, რომ მას შემდეგსაც რაც ერთხელ სიმინდის მოპარვის გამო და მეორე ხელ დავითის ცხენის მოპარვის მიზეზით სიმონა საპატიმროში იყო, დიახ, ამ ორ შემთხვევას შემდეგ, მეზობლებს სიმონა მართლადაც საეჭვო ადამიანად მიაჩნდათ. ხალხმა რა იცოდა, თუ სიმონა ორსავე შემთხვევაში ცამდის მართალია იყო, ხალხი უმეტესს შემთხვევაში ქვევრივით არის: რასაც ჩასძახებენ, იმასვე ამოიძახებს. გავლენიანმა დავითმა ჩასძახა, სიმონა მავნებელიაო, და ხალხიც იმეორებდა—მავნებელიაო.

დადგა ხალხის განაჩენის სისრულეში მოყვანის ვადაცა. დაატოვებინეს სიმონას—სიმონასთანას, რასაკვირველია, ბევრს კიდევ სხვას,—ავადმყოფი დედა, ორსული ცოლი, გაუთოხავი ყანა და „პრიგავორის“ ძალით, ორის წლის ვადით უკრეს თავი საპატიმროში. ამ დღიდან დაწყებული თავისს დღეში ტანჯულს ქეთევანს, როცა ავადმყოფობას წამოუდგებოდა, მიჰქონდა არზა ხან სოფლის ყრილობასთან, ხან მაზრის უფროსთან, ხან გუბერნატორთან; ხან თხოულობდა, ხან იწყევლებოდა, ხან ილანძღებოდა, მაგრამ არა-რა გაუხდა,—ვადამდი, რაც გინდა ჰქენი, მაინც არ განთავისუფლდება სიმონაო, ესმოდა ყოველგან,

ე. ნინოშვილი

(შემდეგი იქნება)

## წვრილი ამბავი

— როგორც პარიჟის გაზეთები ამბობენ, მოპასანის რომანი „Angelus“, რომელიც მოპასანმა ავადმყოფობის გამო ვერ დაასრულა, საფრანგეთისა და პრუსიის 1870 წლის ომს შეეხება: შინაარსი ამ რომანისა დედობრიული სიყვარულია.

— ინფლუენცა საშინლადა მძვინვარებს ლონდონში. „Times“-ის ერთს ნომერში 159 სამგლოვიარო განცხადება იყო ერთს დღეს დაბეჭდილი. ერთის კვირის განმავლობაში მარტო ოფიციალურის ცნობებით 271 კაცი მომკვდარა ლონდონში ინფლუენციისაგან. რამდენსაც იწერებიან, რომ პაპიც ძლიერ ავად იყო ინფლუენცითაო. ინფლუენცისაგანვე ამ დღეებში გარდაიცვალნენ: იეზუიტების გენერალი ანდერსლედი, გამოჩენილი ღვთის-მეტყველი, იეზუიტი კარნოლადი და კარდინალები აგოსტინი და სიმეონი. გერმანიაში ინფლუენციისაგან ძლიერ ავად არიან: ფელდმარშალი ბლუმენტალი და გენერალი ალბედილი, დრეზდენში ინფლუენციისაგან გარდაიცვალა გამოჩენილი გერმანიის გენერალი გოგენლოე-ინგელდინგენი. პარიჟში სხვა გამოჩენილ კაცთა შორის ოსმალეთის ელჩი ესად ფაშა ინფლუენცითაა ავად. ეგვიპტეშიაც მუხთარ ფაშა და ნუზარ ფაშაც ძლიერ ავად გამხდარან ამ ავადმყოფობითვე.

— საფრანგეთის ცნობილი ფილოსოფოსი ერნესტ რენანი ინფლუენცით გამხდარა ავად.

— ბულანჟისტი ლორი ჯერ ვერ დაშოშმინდა და ისე ცხარობს, რომ, გეგონებათ, ყოველ დღე სილებს აჭმევენო. რომშიარი გულ-მოდგინედ ექომაგება ლორსა. გაზეთი „Intransigeant“. ამბობს, რომ რესპუბლიკელებს ტყუილი იმედი აქვთ, ვითომ კონსტანისა და ლორის საქმე გათავდაო. შეიკრიბება თუ არა პალატა, ეს საქმე უფრო გამწვავდებაო.

---

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გამოვუცხადო ტფილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეს დავით მიხეილის ძეს იმნაიშვილს, რომელმაც შემოსწირა სხვა-და-სხვა ქართული წიგნები ჩემდა რწმუნებულის სასწავლებლის ბიბლიოთეკას.

ლანჩხუთის ორკლასიან სასწავლებლის ზედამხედველი დავით კერესელიძე.

დ. ლანჩხუთი.

15 იანვარს

### II

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენის გაზეთის შემწეობით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო პატივცემულთ: პოდპოლკოვნიკს ბ-ნს როსტომ ჩიკოიძეს, პორუჩიკს ბ-ნს ალექსანდრე ჩიქოანს, პორუჩიკს ბ-ნს ოტია მიქელაძეს და კაპიტანს ბ. მ. გუგუშვილს პასუხად მათის წერილისა „ივერიის“ 8 №-ში, შესახებ ჩემდა რწმუნებულის სკოლის სახელზედ ამ წლის საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილის“ გამოწერისა, რომლის პირველი № უკვე მიღებული გვაქვს.

მეჯვრისხევის სკოლის მასწავლებელი თეოფილე კანდელაკი

15 იანვარს.

### III

უმორჩილესად გთხოვთ, დაგვიბეჭდოთ თქვენს გაზეთში შემდეგი ამბავი: დიდს მადლობას მივუძღვნით მოვაჭრეს მეორე გილდიისას ბ-ნს გიორგის და მისს შვილს იორდანე სიხარულიძეებს, რომელთაც შემოსწირეს რწმუნებულს ჩემდამო სამზრუნველო ნაბეღლავის წმ. გიორგის სახელზედ ახლად შეტატად დადებულს ღარიბს ეკლესიას ოთხმოცი მანეთი ფული, და ამასთანავე დაგვპირდნენ, რომ თუ ამ ეკლესიის მრევლი ინებებს გაუმჯობესობას ამ ეკლესიის შენობისას, მაშინაც აღმოგვიჩენთ, ფულად შემწეობასაო: ამ შემოწირულობამ იქამდე გაამხნევა აღტაცებული მცხოვრებნი, რომ არამც თუ მარტო აქაურნი წევრნი, არამედ რამდენიმე გარეშე კაციც მზად არის შემოგვაწიოს, ფული და ზოგმა კიდევაც შემოგვაწია. ვიმედოვნებთ, რომ რამდენისამე ხნის განმავლობაში იმოდენა ფული შესდგება, რომ შესაძლო იქნება აღშენება და გამშვენიერება ახლის ეკლესიის შენობისა;

მზრუნველი ნაბეღლავის წმ. გიორგის ეკკლესიისა.

ეგნატე ჭინჭარაძე

6 იანვარს

---

## დეპეშა

23 იანვარი

**პეტერბურგი.** გუშინ საღამოს შვეციის მემკვიდრე პრინცი მოსკოვს წაბრძანდა. პრინცის გასაცილებლად რკინის გზის სადგურზე მიბრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი, მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდნი მთავარნი.

უმაღლესად მოწონებულ იქმნა ნიმუში სამ-ლარიან თოფის „ვინტოვკისა“ ხიშტით იმ ჯართა გადასაიარაღებლად, რომელთაც ამ ჟამად 4 და 2 ლარიანი ბერდანის „ვინტოვკები“ აქვთ სადრაგუნო ყაიდისა, და უხიშტოდ კიდევ ყველა ყაზახთა ჯარისათვის, რომელიც ამ ჟამად შეიარაღებულია ყაზახურის ბერდანის „ვინტოვკით“.

გუშინ პეტერბურგში მოვიდა იაპონიის სამხედრო მისსია, რომელსაც უფროსობს გენერალი კოდამა.

„Бирж. Вѣд.“-ი იუწყება, მარტში, დასრულდება თუ არა კიევის ხელშეკრულობითა საქმე, დაიწყება კრებანი კომისიისა გამოსაკვლევად შაქრის დამატებით აქციზის, აღების წესისა რომელიც 1 სექტემბრიდამ უნდა იქმნას შემოღებული და რომელმაც ხაზინას წმინდა შესავალი უნდა მისცეს 6,400,000 მან.

**ლონდონი.** ცნობილი მკურნალი სერ მორელლ მიკენზი, რომელიც იმპერატორს ფრიდრიხსა სწამლობდა, დღეს სალ.მოს გარდაიცვალა ინფლუენცისაგან.

24 იანვარი

**მოსკოვი.** 23 იანვარს შვეციის მემკვიდრე პრინცის მოსვლის დროს რკინის გზის სადგურზე მივიდნენ: გენერლობა, წარჩინებულნი და შვეციის ელჩი; მატარებლის მოსვლამდე სადგურზედვე მივიდა დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე. მატარებელი გაჩერდა ბაქანთან სრულს 12 საათზე და მარშით მიეგებნენ. მიესალმა რა დიდს მთავარს, პრინცმა მიიღო რაპორტი ჯარების უფროსისაგან და საპატიო ყარაულს გაუარა. მუსიკა შვეციის საგალობელს უკრავდა. გენერლობის ნახვის შემდეგ შვეციის პრინცი და დიდი მთავარი კრემლის სასახლეში გაემგზავრნენ, საიდამაც დიდი მთავარი ალექსანდრეს სასახლეში წაბრძანდა და იქ პრინციც სადარბაზოდ მივიდა. იქიდგან დაბრუნების შემდეგ დაათვალიერა შესანიშნავი ადგილები მოსკოვისა „ორუჟეინი პალატიდგან“ მის უმაღლესობასთან სადილის მირთმევის შემდეგ ალექსანდრეს სასახლეში პრინცი წარმოდგენას დაესწრება დიდს თეატრში.

**ოდესსა.** რუმინიიდგან პურის ზიდვა დაიწყო. რამდენ-რამდენიმე ვაგონი მოდის პირდაპირ ნავთ-სადგურის სახელობაზე. ტირასპოლის საბაჟოზედაც დიდ-ძალს პურს მოელიან, რომ დროებით შენახულ იქმნას სამხრეთ-რუსეთის რკინის გზათა ელევატორებში.

პეტერბურგის ბირჟა, 21 იანვარი

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, 16 | 8, 20 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 162 3/4 | 163 1/4 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 17 | 1, 19 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 235 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 225 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი. . . , . | 198 1/2 | — ,, | 200 1/2 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — ,, | — ,, | — ,, |
| 6%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5 1/2%. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

---

### გამოსადეგი ცნობანი

ნ ი ხ რ ი

1892 წ. 18 იანვრიდამ ახალი განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ „
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 8 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

---

## განცხადებანი

### ღვინოები

ავლაბრის სირაჯხანის თავში, აფთიაქის ზემოდ, ტრაქტირის პირდაპირ, წყალობა არუთინოვის დუქანში ჩამოტანილია კახური ძველი საუკეთესო ღვინოები თეთრი—ოთხის წლისა და წითელი—სამის წლისა თავად დიმიტრი ივანეს ძის მაყაშვილისა რუისპირის ზვრიდამ. მსურველთ შეუძლიანთ მობრძანდნენ დილის ათის საათიდამ შუადღის სამ საათამდე. შემდეგ აღარ ისყიდება.

(2—2)

---

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი

**ზადიგი**

მოთხრობა ვოლტერისა

გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ

ფასი 20 კაპ.

იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამ თ. ა. სუმბათაშვილისა „ბორკილი“ და ჰღირს 40 კაპ.

---

**ა. რალლე და ამხ.**

მოსკოვში

სასახლის იჯარადარი

—ახალთ-ახალი—

საპონი

მე-XX საუკუნისა
თეთრი იასამანი
ყაზანლიკის ვარდი
ყრუახისა
საახნაურო

სუნელ. წყალი

ზამბახისა
სპარსეთის იასამანისა
თეთრის იასამანისა
მინდვრის ყვავილებისა
თათრულის თეთრის იისა

ვაზელინის საპონი—ვაზელინის პომადა

ისყიდება რუსეთის ყველა ქალაქში. პრეისკურანტი უსასყიდლოდ შეიძლება დაიბაროს მსურველმა. (5—5)

ეს განცხადება დაბეჭდილია „Правит. Вѣстн.“-ის 19 წ. 16 მარტის მე-59 №-ში

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 | თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 | ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 | ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 | ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 | ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 | ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 | ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 | ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ''.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

---

# ВЫСОЧАЙШЕ УЧРЕЖДЕННЫЙ,

**подъ предсѣдательствомъ Его Императорскаго Высочества Наслѣдника Цесаревича,**

## ОСОБЫЙ КОМИТЕТЪ

Денежныя пожертвованія, предоставляемыя въ распоряженіе состоящаго подъ предсѣдательствомъ Его Императорскаго Высочества Наслѣдника Цесаревича Особаго Комитета для помощи нуждающимся въ мѣстностяхъ, постигнутыхъ неурожаемъ, а также заявленія о желаніи жертвовать въ пользу нуждающихся хлѣбомъ (зерномъ и мукою) принимаются въ помѣщеніи Кабинета Его Императорскаго Величества, у Аничкова моста, отъ 10 час. утра до 2 час. дня, ежедневно, за исключеніемъ дней неприсутственныхъ. Пожертвованія отъ иногородныхъ слѣдуетъ адресовать: въ С.-Петербургъ, въ Высочайше учрежденный подъ предсѣдательствомъ Его Императорскаго Высочества Наслѣдника Цесаревича Особый Комитетъ. (5—4)

Дозв. ценз. Тифлисъ, 24-го Января 1892 г.
სტამბა მ. შარაძისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.